

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

17.01.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (სხდომის მდივანი);

ნატო გეგნგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის ტეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

სერგო ჭელიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამართლის პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ანა ფირცხალაიშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მაკა ლაშჩია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დარგის მოწვეული სპეციალისტი:

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მარა გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
სამმართველოს უფროსი.  
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს  
სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:  
ნინო ჩიკვილაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი;  
რუსულან ქუთათელაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;  
თათია ღურწკაია - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  
მარა ჩეჩელაშვილი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  
მანანა მოისწრაფიშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;  
გოდერძი ტექნიკური მუზეუმი - პროფესორი;  
ჯამლეტ ჯანჯაღა - პროფესორი;  
ნინო დიდიშვილი - პროფესორი;  
თამარ კილაძე - პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

გოჩა თუთბერიძე;  
თეა კასრაძე;  
დავით ქარცივაძე;  
ნიკა კიკნაძე;  
დავით სიხარულიძე;  
სოფო ხუნდაძე;  
დავით ცირამუა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:16 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა. ამავე პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“<sup>272</sup> მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების<sup>273</sup> მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა და ასევე საბჭოს წევრებმა გიორგი ქვარცხავამ და სალომე თოთიბაძემ განსახილველ სამივე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს სხდომას წარუმლვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ამილახვარი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო შემუშავებული ყოფილიყო სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდირებული იყო დამსაქმებელთა გააქტიურება პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესში;
- რეკომენდირებული იყო გაძლიერებულიყო პრაქტიკული კომპონენტი ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში;
- რეკომენდირებული იყო დაწესებულებას გაეძლიერებინა სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით;



- რეკომენდირებული იყო დაწესებულებას გაეუმჯობესებინა კარიერული განვითარების ხელშემწყობი სერვისები და უზრუნველეყო სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ, მათ შორის დასაქმების ფორუმების, ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარების გზით.

ექსპერტმა განაცხადა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით პროგრამა შეესაბამებოდა პირველ სტანდარტს, მეტწილად შეესაბამებოდა მეორე და მესამე სტანდარტს, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით პროგრამა შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. ასევე აღსანიშნავი იყო რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების ადმინისტრაცია მუშაობდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მალე ექნებოდათ შემუშავებული სწავლის შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაცია გავლილი ჰქონდა 2012 წელს, მას შემდეგ პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, მოდიფიცირების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები დაინტერესებული მხარეები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამტავრებულები და დამსაქმებლები. მოდიფიცირების შედეგად პროგრამაში განისაზღვრა ოთხი კონცენტრაცია: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა. პროგრამას დაემატა პრაქტიკის კომპონენტი და სავალდებულო გახდა საბაკალავრო ნაშრომი. პრაქტიკის ფარგლებში ფაკულტეტს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას ობიექტზე მენტორის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტები აწარმოებდნენ დღიურებს რის საფუძველზე წარმოადგენდნენ ანგარიშებს და ხდებოდა ანგარიშის დაცვა პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად. რაც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომს, მისი მიზანი იყო მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის თავმოყრა და სტუდენტის შემოქმედებითი და კვლევითი უნარების გამოვლენა. პროგრამაში ასევე გათვალისწინებული იყო ცამეტი საგანი რომელიც მოიცავდა პროექტებს, პროექტის ფარგლებში სტუდენტები გადიოდნენ დაგეგმვის, კვლევის და საბოლოო წარმოადგენის ეტაპებს. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომი იყო პროგრამაში ჩართული პირებისათვის, მოწვეული პერსონალი გახლდათ სამივე საფეხურის კურსდამთავრებული, დაცული იყო აკადემიური თავისფლება, გენდერული ბალანსი, მუდმივად ხდებოდა წიგნადი ფონდის განახლება როგორც ფაკულტეტის ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკებში, შექმნილი იყო სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყო ელექტრონული სერვისების მიწოდება. ასევე აღსანიშნავი იყო პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებაში მიმდინარეობდა მუშაობა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები იყო მზადების პროცესში და უახლოეს მომავალში მზად ექნებოდათ. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ ფაკულტეტზე შემუშავებული იყო 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც იგეგმებოდა დამსაქმებლებთან თანამშროლობის გაღრმავება, გაფორმდებოდა მემორანდუმები სტუდენტების სტაჟირების და მათი დასაქმების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელი ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ყველაზე აქტიურ დამსაქმებლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმიდნარე პერიოდში სტუდენტები აქტიურად გადიოდნენ სტაჟირებას „საქსტატში“, „საქატენტში“, თბილისის მერიაში და გამგეობებში, სხვადასხვა აუდიტორულ ფირმებში და კერძო სექტორში. მათი საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულთა 37% დასაქმებული იყო სპეციალობით. აღსანიშნავი იყო რომ აკრედიტაციის ვიზიტის შემდგომაც მიმდინარეობდა ხელშეკრულებების გაფორმება სხვადსხვა ორგანიზაციებთან.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი დაინტერესდა პროგრამის ბიუჯეტით და ინტერნაციონალიზაციის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტი გახლდათ ფინანსურად მდგრადი, ფაკულტეტის ბიუჯეტი დაახლოებით 5 მილიონ ლარს, ბიუჯეტის 35% მიდიოდა განვითარების ფონდში. რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, პროფესორ-მასწავლებლების მივლინებების ფონდში ჩადებული იყო 90 000 ლარი, გასულ წელს სხვადსხვა ქვეყანაში კონფერენციებზე და ტრენინგებზე მივლინებით გაგზავნილი იყო 50 პროფესორი, ფაკულტეტი ასევე იწვევდა უცხოელ პროფესორებსაც და აფინანსებდა მათი მგზავრობის ხარჯებს, სტუდენტების ფონში ჩადებული იყო 44 000 ლარი, აქტიურად თანამშრომლობდნენ ზაარბაზენის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტთან, თანამშრომლობდნენ პროფესორ ვილი ჰოიზერთან რომელიც ხშირად სტუდენტებით გამოთქვავდა სურვილს პრაქტიკაზე წაეყვანა მათი სტუდენტები ზაარბაზენის უნივერსიტეტში. მას უკვე შერჩეული ჰყავდა 5 სტუდენტი კონკურსის საფუძველზე. აღსანიშნავი იყო ასევე, რომ მათი სტუდენტები სარგებლობდნენ Erasmus+ პროგრამითაც, 2016 წლიდან მათი 7 სტუდენტი იყო წასული სხვადსხვა უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის მოწვეულ სპეციალისტს, გიორგი თურქიას.

გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ის გაეცნო პროგრამას და როგორც აღინიშნა პროგრამაში წარმოდგენილი იყო საბაზისო მოდული და შემდეგ ხდებოდა კონცენტრაციების მიხედვით დაყოფა. მან ყურადღება გაამახვილა არჩევით საგნებზე რომელიც წარმოდგენილი იყო მე-6 სემესტრში და მოიცავდა 30 კრედიტს. საგნების ჩამონათვალში წარმოდგენილი იყო როგორც ბიზნესის მიმართულებით საგნები ასევე სხვადსხვა დარგის საგნები, მისი მოსაზრებით სასურველი იქნებოდა თუ კი არჩევითი საგნები იქნებოდა გაფანტული და მათი შეთავაზება დაიწყებოდა მე-2 და მე-3 სემესტრიდან და არა მთელი ერთი სემესტრი დათმობოდა მხოლოდ არჩევით საგნებს. აღსანიშნავი იყო, რომ საბუღალტრო აღრიცხვის კონცენტრაციაში წარმოდგენილი იყო მენეჯერული აღრიცხვა, რომელიც მისი მოსაზრებით სავალდებული უნდა ყოფილიყო ყველა დანარჩენი კონცენტრაციისთვისაც ვინაიდან ის წარმოადგენდა ბიზნესის ადმინისტრირების მნიშვნელოვან საგანს. აღსანიშნავი იყო, რომ ბიზნესის საფუძვლების საგანში საერთოდ არ იყო საუბარი მარკეტინგზე და ფინასებზე, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო შესული საგნის შინაარსში. რაც შეეხებოდა ფინანსების საფუძვლებს, რომელიც გარკვეულწილად იხრებოდა ეკონომიკისაკენ და უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ორიენტირებული პრაქტიკაზე ვიდრე ცალკეული საგნების შესწავლაზე. ასევე

სასურველი იქნებოდა თუ კი საგანს დაემატებოდა ფინანსური ანალიზის ელემენტებიც. უმჯობესი იქნებოდა თუ კი საგნები ფინანსების საფუძვლები და ფინანსური მენეჯმენტი გაერთიანდებოდა და შეთავაზებული იქნებოდა ერთი პრაქტიკული საგანი. ასევე სასურველი იყო თუ დაამატებდნენ უფრო მეტ პრაქტიკულ სიტუაციურ ანალიზებს, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებდა პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფალ კომპონენტებში აერჩიათ სხვადასხვა ფაკულტეტის საგნები, ასევე იმ შემთხვევაში თუ კი სტუდენტი ვერ ძლევდა პროგრამას და არ ჰქონდა შესრულებული წინაპირობები მექქანიკური მათ მისცემდა საშუალებას გამოესწორებინათ მდგომარეობა რაც ხელს უშლიდა მათ კონცენტრაციის არჩევაში. აღნიშნული გარემოება გამომდინარეობდა არსებული წინარე გამოცდილებიდან.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა დააფიქსირა თავისი პოზიცია რამოდენიმე სილაბუსთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები იყო საკმაოდ მსუბუქი, მაშინ როდესაც თუ ყურადღებით შეისწავლიდნენ სილაბუსების შინაარს აღმოაჩენდნენ არაერთ უზუსტობას. მან ყურადღება გაამახვილა ბიზნესის სამართლის საფუძვლების სილაბუსზე, სილაბუსი შექმნილი იყო ქაოტურად და წარმოდგენილი საკითხები იმგვარად იყო დალაგებული რომ არ ჰქონდა ერთმანეთთან ლოგიკური ბმა. საინტერესო იყო აღნიშნული საგნის გავლის შემდეგ რა ცოდნას და უნარებს შეიძენდა სტუდენტი. საგანში გათვალისწინებული საკითხების ერთი ქუდის ქვეშ შეთავაზება და სწავლება იყო სრულიად წარმოუდგენელი მათი შინაარსიდან გამომდინარე. რაც შეეხებოდა ფასიანი ქაღალდების და ფინანსური ბაზრების სილაბუსს, ყურადღება გამახვილდა პრობლემაზე დამყარებული სწავლების მეთოდზე, მაშინ როდესაც სტუდენტის მიერ გამოსაყენებელი ლიტერატურა იყო საკმაოდ მწირი, რაც სტუდენტს არ მისცემდა იმ რაოდენობის ინფორმაციას რომელიც შემდეგ დაეხმარებოდა გარკვეული პრობლემის გადაჭრაში. შესაბამისად მისი თხოვნა იყო გადაეხედათ სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდებისათვის. ასევე როდესაც მან გადაავლო თვალი აღნიშნული სილაბუსის შინაარსს და თემებს ჩამოუყალიბდა შთაბეჭდილება, რომ საკითხები ჩაყრილი არ იყო სისტემურად და არ იყო განხილული ფინანსური ბაზრების ძირითადი ფუნქციები როგორიც იყო ფინანსური ორგანიზაციები და ინვესტიციები. რაც შეეხებოდა კორპორაციული მენეჯმენტის სილაბუსს, ბევრი საკითხი უკავშირდებოდა სამართალს. თუ კი მიმართულება გახლდათ სამართლის განხრით აღნიშნულ შემთხვევაშიც სტრუქტურა არასწორად იყო ჩაოყალიბებული ვინაიდან არ მოიცავდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს კორპორაციებთან, მათ ფორმებთან და მართვასთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, მოცემული იყო მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო მაშინ როდესაც არაერთი წიგნი იყო გამოცემული აღნიშნულ საკითხებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის სამართლის სილაბუსი შემუშავებული იყო სამართლის ფაკულტეტზე, მათ ჰქონდათ მზაობა და ჰყავდათ შესაბამისი კვალიფიციური კადრი რომელიც აღნიშნული რჩევების გათვალისწინებით მოახდენდა სილაბუსის მოდიფიცირებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებდა მონიტორინგს რომლის ფარგლებშიც მუდმივად ხორციელდებოდა პროგრამის განვითარება. მონიტორინგის ფარგლებში ხშირად ხდებოდა სილაბუსების გადახედვა. მეოთხე კურსელები



აფასებდნენ პროგრამას, რომლის ფარგლებში ფასდებოდა ასევე სილაბუსებიც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველთვის ითვალისწინებდა შეფასების შედეგებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისათვის უნდა შეეხედათ უფრო მარტივად, აღნიშნული მეთოდი გამოიყენებოდა სკოლებში, პირველად ამ მეთოდის გამოყენება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაიწყეს კანადაში. სკოლის მოსწავლე იქნებოდა თუ სტუდენტი აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას მას უნდა მოერგო ფასილიტატორის როლი, უნდა გამოკვეთოს პრობლემა და შეძლოს ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობა და იკისროს პასუხისმგებლობა შემდგომი განათლებისა მიღებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების. მან განაცხადა, რომ თავადაც როგორც პროფესორი იყენებდა აღნიშნულ მეთოდს და მისი გამოყენება არ წარმოადგენდა პრობლემას.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით. თვითშეფასების თანახმად წლების მიხედვით რადიკალურად იცვლებოდა ჩარიცხულთა რაოდენობა, ასევე საინტერესო იყო კურსდამთავრებულთა მდგომარეობა ვინაიდან თვითშეფასების თანახმად თითქმის ნახევარი ვერ ასრულებდა პროგრამას. მას აინტერესდა რა განაპირობებდა არსებულ სიტუაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2013, 2014 და 2015 წლებში მიღება იყო თითქმის ერთნაირი. 2016 წელს დაფიქსირდა სტუდენტთა მცირე რაოდენობა რაც მათი მოსაზრებით გამოწვეული იყო იმით, რომ იმ პერიოდში მათი პროგრამა ფუნქციონირებდა ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტზე რომელზეც სწავლობდა 5 ათასამდე სტუდენტი. 2017 წელს როდესაც მოხდა გამოყოფა და ჩამოყალიბდა ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გაორმაგდა. რაც შეეხებოდა კურსდამთავრებულთა რაოდენობას, მისი მოსაზრებით მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობა, სტუდენტები თვითონვე იჩერებდნენ სტატუსს ფინანსური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვადასხვა მიზეზის გამო.

16:10 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება  
სხდომა განახლდა 16:30 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში მიზანშეწონილი იყო შესულიყო 2018 წლის 31 დეკემბრიდან, ვინაიდან პროგრამას სწორედ 31 დეკემბერს ამოეწურა აკრედიტაციის ვადა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ინტერესებისა და პროგრამების სტატუსის უწყვეტობის მიზნით, საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27<sup>ს</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომზრე - 8


წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 31 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“<sup>275</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ 1 წლის განმავლობაში პროგრამაზე განხორციელებულიყო მონიტორინგი.



2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო  
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		02
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო შემუშავებულიყო სწავლის შედეგების შეფასების რუკა და სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდირებული იყო მომხდარიყო საერთაშორისო მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის მოდიფიკაცია საერთაშორისო მარკეტინგთან და საერთაშორისო მენეჯმენტთან დაკავშირებული საგნების გაძლიერებით;
- რეკომენდირებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სპეციალობის ბლოკში გათვალისწინებული ყოფილიყო სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ სწავლება;
- რეკომენდირებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სპეციალობის ბლოკში გათვალისწინებული ყოფილიყო ამ საფეხურის შესაბამისი „მარკეტინგის“ დისციპლინის სწავლება;

- რეკომენდირებული იყო საერთაშორისო მარკეტინგისა და საერთაშორისო მენეჯმენტის სილაბუსების გადახედვა მათი გაუმჯობესების მიზნით;
- რეკომენდირებული იყო სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და მათ დაცვაზე განხორციელებულიყო მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- რეკომენდირებული იყო დაწესებულებას გაეძლიერებინა კარიერული განვითარების ხელშემწყობი სერვისები და უზრუნველყო სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ, მათ შორის დასაქმების ფორუმების, ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარების გზით;
- რეკომენდირებული იყო დაწესებულებას გაეკონტროლებინა სამაგისტრო ნაშრომებში არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები.

ექსპერტმა განაცხადა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით პროგრამა პირველი, მეორე და მესამე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამებოდა მოთხოვნებს. ასევე აღსანიშნავი იყო რომ პირველი რეკომენდაცია იდენტური იყო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე არსებული პირველი რეკომენდაციისა და როგორც აღინიშნა დაწესებულების ადმინისტრაცია მუშაობდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მალე ექნებოდათ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა შემუშავებული იყო დარგში არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გათვალისწინებული იყო უცხოური ანალოგები, გათვალისწინებული იქნა პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეების ინტერესები. მოდიფიცირების შედეგად პროგრამაში 75 კრედიტი გათვალისწინებული იყო სასწავლო კომპონენტზე ხოლო 45 კრედიტი სამეცნიერო კომპონენტისათვის. სასწავლო კომპონენტში სტუდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ ორი ორენოვანი საგანი, სტუდენტი სურვილის მიხედვით ირჩევდა გაუცლო საგანი ინგლისურ ენაზე თუ ქართულ ენაზე. რაც შეეხებოდა არჩევით კურსებს, მათ ჰქონდათ ორი ტიპის არჩევითი კურსები. პირველი ტიპის საგნები აღრმავებდა და აძლიერებდა ძირითადი ბლოკის საგნების ცოდნას ხოლო მეორე გახლდათ სპეციალიზაციის არჩევითი კურსები რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებოდა სპეციალობას თუმცა აძლიერებდა სტუდენტს საშუალებას გამოემუშავებინათ ის უნარჩვევები რომელიც მათ სურდათ. რაც შეეხებოდა კვლევით კომპონენტს, მათ ჰქონდათ გათვალისწინებული 45 კრედიტი. 5 კრედიტი ენიჭებოდა პროსპექტუსს, 10 კრედიტი კოლოქვიუმს ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას. დაინტერესებული მხარეების რჩევის გათვალისწინებით პროგრამაში გათვალისწინებული იქნა პრაქტიკის კომპონენტი. პროგრამა ხელს უწყობდა სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, დაწესებულება იზიარებდა მათ, სავალდებულო საგნების ბლოკში უკვე განხორციელდა საგნის „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ გათვალისწინება, მოპოვებული ჰქონდათ რამოდენიმე უცხოენოვანი სახელმძღვანელო და მიმდინარეობდა მსჯელობა იმაზე თუ რამდენი კრედიტით და რა სახით ჩაესვათ აღნიშნული საგანი სავალდებულო საგნების ბლოკში. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, მასაც იზიარებდნენ და აუცილბლად გააძლიერებდნენ საერთაშორისო



მარკეტინგისა და საერთაშორისო მენეჯმენტის ბლოკს აუცილებელი საგნებით. მათ უკვე მოპოვებული ჰქონდათ სახელმძღვანელოები და იწყებდნენ მუშაობას სილაბუსების შემუშავებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციას მირითადი საგნების ბლოკში მარკეტინგის საგნის გათვალისწინებასთან დაკავშირებით ყველა კონცენტრაციისათვის. პროგრამა მოიცავდა 6 კონცენტრაციას: საერთაშორისო მარკეტინგს, საერთაშორისო მენეჯმენტს, აუდიტს, მცირე ბიზნესის მართვას, მასპინძლობის მენეჯმენტს და იფორმაციული ტექნოლოგიების მართვას. მირითად ბლოკში დამატებული ბიზნესის კვლევის მეთოდები და მარკეტინგის კვლევის მეთოდები შეეხებოდა ექვსივე კონცენტრაციას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის მოწვეულ სპეციალიტის, გიორგი თურქიას.

გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სავალდებულო საგნების მოდული იყოფოდა მირითად მოდულად და არჩევით მოდულად. მირითად მოდულში გათვალისწინებული იყო მხოლოდ ოთხი სავალდებულო საგანი. მისი მოსაზრებით სავალდებულო მოდული უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ვინაიდან კონცენტრაციები იყო მრავალფეროვანი. მისი მოსაზრებით ცოტა პრობლემური იყო 6 კონცენტრაციის ერთიანი ხარისხით მიწოდება სტუდენტისათვის თუმცა აღნიშნული უნივერსიტეტის გადასაწყვეტი იყო. ვინაიდან პროგრამა ანიჭებდა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს, სავალდებულო მოდული უნდა ყოფილიყო დაბალანსებული. დაბალანსებაში იგულისხმებოდა მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგის გათვალისწინება ყველა კონცენტრაციაში. ასევე უმჯობესი იქნებოდა თუკი საგნებს საერთაშორისო მარკეტინს და საერთაშორისო მენეჯმენტს ერქმოდა უბრალოდ მარკეტინგი და მენეჯმენტი. რაც შეეხებოდა მცირე ბიზნესის მართვას, მაგისტრატურის დონეზე კონკრეტული კონცენტრაციის მიწოდება მცირე ბიზნესის მიმართულებით მისი მოსაზრებით არ იყო რაციონალური სტუდენტებისათვის. რაც შეეხებოდა დაშვების წინაპირობებს, არცერთ კონცენტრაციის საგანს რამოდენიმე გამონაკლისის გარდა არ ჰქონდა წინაპირობა. მისი მოსაზრებით ზუსტად უნდა ყოფილიყო გაწერილი როდის შეეძლო სტუდენტს კონცენტრაციაზე გადასვლა ვინაიდან მას უნდა ჰქონოდა გავლილი სავალდებულო საგნების ბაზა. შეუძლებელი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების კონცენტრაციის არჩევა თუკი სტუდენტს არ ექნებოდა მიღებული ცოდნა საბაზისო საგნებში. აღნიშნულიდან გამომდინარე გასასწორებელი იყო დაშვების წინაპირობები. ასევე კარგი იქნებოდა თუკი სტრატეგიული მენეჯმენტი იქნებოდა სავალდებულო საგანი, ვინაიდან მაგისტრატურის დონეზე სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დასაზუსტებელი იყო ფინანსური ანალიზის საგნის წინაპირობა რომელიც გათვალისწინებული იყო სავალდებულ არჩევით საგანთა ნუსხაში, ვინაიდან აღნიშნულ საგანსაც გარკვეული წინარე გამოცდილების გარეშე სავარაუდოდ ვერ აითვისებდა სტუდენტი. რაც შეეხებოდა 45 კრედიტის გათვალისწინებას კვლევითი კომპონენტისათვის, მისი მოსაზრებით იყო ბევრი, ვინაიდან ბიზნესში კვლევა უფრო მეტად ორიენტირებული უნდა ყოფილიყო პრაქტიკულ კვლევაზე. იმჯობესი იქნებოდა თუკი გამოთავისუფლდებოდა კრედიტები და დაემატებოდა სხვადასხვა საჭირო საგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ფაკულტეტზე მაღალი იყო მოთხოვნა სწავლის მესამე საფეხურზე გაგრძელებისა შესაბამისად, კვლევითი კომპონენტის 45

კრედიტის მიწოდებით მათ სურდათ სტუდენტებში გამოემუშავებინათ კვლევითი უნარ-ჩვევები რომელიც მათ დასჭირდებოდათ და გამოადგებოდათ სწავლების მესამე საფეხურზე. კვლევითი კომპონენტი ჩაშლილი იყო 3 ქვეკომპონენტად. მათი მოსაზრებით როდესაც სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილი იყო 75 კრედიტით, კვლევის კომპონენტისათვის 45 კრედიტის მინიჭება ნამდვილად არ ვნებდა პროგრამას.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაციებიდან გამომდინარე მას დარჩა შთაბეჭდილება რომ სამაგისტრო ნაშრომები სრულად არ აკმაყოფილბდნენ დადგნილ კრიტერიუმებს. მან კითხვით მიმათა ექსპერტებს და დაინტერესდა თუ გაეცნენ ნაშრომებს შინაარსობრივად და რა შთაბეჭდილება დატოვა მათზე. მან ასევე სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დეტალურად ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცედურებზე და გაეუღიერებინათ ეთანხმებოდნენ თუ არა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან დასკვნაში ნახსენები იყო რომ სამაგისტრო ნაშრომების წყაროებში გამოყენებული იყო არავალიდური ლიტერატურა სასურველი იქნებოდა თუკი დაწესებულება ისაუბრებდა აღნიშნულ საკითხზეც.

ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლის ინსტრუქციაც კარგად იყო გაწერილი და შეესაბამებოდა კვლევის წარმართვის სტანდარტებს. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებს, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმებული იქნა ათამდე სამაგისტრო ნაშრომი სხვადასხვა შეფასების მიხედვით. აღსანიშნავი იყო რომ ნაშრომების 80% არ იყო ადეკვატური სამაგისტრო ნაშრომის წერის ინსტრუქციის და სტანდარტებისა. რაც შეეხებოდა წყაროების გამოყენებას, ნაშრომებში გამოყენებული იყო ისეთი წყარიები როგორიც იყო „Wikipedia“ და ა.შ. რაც მათი მოსაზრებით არ იყო რელევანტური სამეცნიერო ნაშრომების მომზადებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სავარაუდოდ სტუდენტებს არ განუმარტეს რომ „Wikipedia“ არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომში წყაროს სახით, ვინაიდან აღნიშნული სახის დარღვევები მათთვისაც იყო ცნობილი განხორციელდა პროგრამის მოდიფიკაცია და დაემატა კრედიტები იმისათვის რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული მითითებული ტიპის დარღვევები. მიმდინარე წლიდან 6 კაციანი ჯგუფი ატარებდა მონიტორინგს იმ მიზნით რომ სამაგისტრო ნაშრომები შესაბამისობაში ყოფილიყო დადგენილ მოთხოვნებთან. რაც შეეხებოდა მოცულობას პროსპექტუსიც და კოლოქვიუმიც უნდა ყოფილიყო მინიმუმ 15 გვერდი. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური რაოდენობა იყო 70 გვერდი თუმცა ზედა ზღვარი იყო 100 გვერდი. წინა წელს მათ ასევე შეიძინეს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა და მიმდინარე წელს შემოწდებოდა ყველა სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის ტემას ირჩევდა მეორე სემესტრის დასაწყისში.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა განაცხადა, რომ მეორე სემესტრიდან სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მუშაობის დაწყება არ იყო მართებული, ვინაიდან სტუდენტს ჯერ უნდა გაევლო გარკვეული საბაზისო საგნები იმისათვის რომ ჩამოყალიბებულიყო თუ რა საკითხზე დაიწყებდა თემის შემუშავებას. ამავე დროს შესაძლებელი იყო, რომ მაგისტრატურაზე

ჩარიცხულიყო სტუდენტი რომელსაც არ ექნებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განაცხადა, რომ როგორც ჩანდა პროგრამიდან გამომდინარე არ იყო გათვალისწინებული აკადემიური წერის სწავლება. მისი მოსაზრებით თუ მაგისტრანტს არ ასწავლიდნენ როგორ შეესრულებინა სამაგისტრო ნაშრომი გაუჭირდებოდა თემაზე მუშაობა. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ პრაქტიკის კომპონენტს ეთმობოდა 5 კრედიტი. მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა თუკი გაზრდებოდა კრედიტების რაოდენობა და მაგისტრანტს ექნებოდა შესაძლებლობა 2 საათის ნაცვლად 4 საათი გაეტარებინა პრაქტიკის ობიექტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიურ წერასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აკადემიური წერის საკითხები ინტეგრირებული იყო სხვადასხვა საგნებში და ასევე აკადემიური წერა ისწავლებოდა ბაკალავრიატის საფეხურზეც. რაც შეეხებოდა პრაქტიკას, მისი გათვალისწინება პროგრამაში მოხდა სწორად დამსაქმებლების თხოვნით. 5 კრედიტი პრაქტიკის კომპონენტს მიენიჭა იქედან გამომდინარე რომ მათი სტუდენტები იყვნენ დასაქმებულები, სწავლება იწყებოდა 18:00 საათის შემდეგ. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ფაკულტეტმა ჩათვალა რომ 5 კრედიტი იქნებოდა მიზანშეწონილი. თუმცა თუ სტუდენტები და დამსაქმებლები აღნიშნავდნენ რომ საათების რაოდენობა არ იყო საკმარისი აუცილებლად გაითვალისწინებდნენ და გაზრდიდნენ საათებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გეგნგიურმა განაცხადა, რომ რა ნიშნით ენიჭებოდა კვევით კომპონენტებს კრედიტი მანამ სანამ დასრულდებოდა ნაშრომი, ხდებოდა ქულებით შეფაება თუ გამოიყენებოდა სხვა მეთოდი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეფასება ხდებოდა ქულებითაც თუმცა ნაშრომის დასრულებას კავშირი არ ჰქონდა პირველ და მეორე კომპონენტთან იმიტომ რომ პირველი კომპონენტი, პროსპექტუსი დასრულებულ ნაშრომს წარმოადგენდა თავისთავად, მეორე კომპონენტი კოლოქვიუმი ასევე წარმოადგენდა დასრულებულ ნაშრომს და შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო იმ პარამეტრებთან რაც იყო დადგენილი. საბოლოო ჯამში ხდებოდა ორივე კომპონენტის შეერთება და დასრულებული თემის სახით წარმოდგენა რაც ფასდებოდა 30 ქულით. შეფასების კრიეტრიუმები გაწერილი იყო დებულბაში სადაც დეტალურად აისახებოდა რომელი კომპონენტი როგორ ფასდებოდა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოლაძე დაინტერესდა თუ რა მექანიზმებით ხდებოდა სამაგისტრო თემის შერჩევა, გათვალისწინებული იყო თუ არა თანამედროვე მოთხოვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ წინასწარ განსაზღვრული ნუსხა თემებისა საიდანაც შესაძლებელი იყო შერჩევა, მაგრამ შესაძლებელი იყო სტუდენტს ჰქონდა თავისი მოსაზრება თემის სათაურთან დაკავშირებით. თემის არჩევანი ყოველთვის განიხილებოდა პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის დეპარტამენტებში, ხდებოდა დამტკიცება და მაგისტრანტი იწყებდა მუშაობას.

17:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:15 საათზე.

18:15 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოს ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრების, მათ შორის მოწვეული წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით უნდა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან ამ სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირებული იყო არსებითი ხასიათის რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, პროგრამას შესაძლოა მინიჭებოდა პირობითი აკრედიტაცია. ამასთან, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში მიზანშეწონილი იყო შესულიყო 2018 წლის 31 დეკემბრიდან, ვინაიდან პროგრამას სწორედ 31 დეკემბერს ამოეწურა აკრედიტაციის ვადა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ინტერესებისა და პროგრამების სტატუსის უწყვეტობის მიზნით, საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 32 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.“

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის სახაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა	240	

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მოსულიყო შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან;
- დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებდა, თუ როგორ იყო დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შედეგებთან;
- პროგრამას უნდა ჰქონდა სწავლის შედგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლეოდა;
- პროგრამას უნდა განესაზღვრა სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც დაწესებულებას მისცემდა საშუალებას განეხორციელებინა ეფექტური მონიტორინგი და რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნებოდა პროგრამის შედეგების გასაუმჯობესებლად;
- ზოგადი ინგლისური ენის კურსი უნდა გამხდარიყო სავალდებულო სასწავლო კურსი, მოხსნილიყო დაშვების წინაპირობა მისარებ გამოცდებზე ინგლისური ენის ჩაბარება. ზოგადი



ინგლისური ენა უნდა გამხდარიყო დარგობრივი ენის წინაპირობა, ხოლო სხვა ენები გადასულიყო არჩევით კომპონენტში;

- აკადემიური წერა ნაცვლად არჩევითისა შეტანილი უნდა ყოფილიყო სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში და გამსაზღვრულიყო როგორც საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა;
- პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები უნდა გადასულიყო სავალდებულო კომპონენტში;
- მმართველობითი აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებთან და ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად უნდა შესწავლილი უნდა ყოფილიყო სავალდებულო საგნად და კურსზე დაშვების წინაპირობად კორპორაციების ფინანსების ნაცვლად უნდა განსაზღვრულიყო ფინანსური აღრიცხვა;
- გადახედილი უნდა ყოფილიყო და მეტი სიზუსტით უნდა ყოფილიყო შერჩეული სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებს დაშვების წინაპირობა არ სჭირდებოდა; მარკეტინგის საფუძვლებზე დაშვებას არ სჭირდებოდა მაკროეკონომიკის ცოდნა, შესაძლებელი იყო დაშვების წინაპირობების გარეშეც ყოფილიყო შეთავაზებული; საგადასახადო საქმეს, სააუდიტო საქმის ორგანიზაციას, პროექტების მენეჯმენტის საფუძვლებს, ხარისხის მენეჯმენტს უნდა მოხსნოდა წინაპირობა კორპორაციათა ფინანსები, ხოლო ინვესტიციებს სამეწარმეო სექტორში არ ჭირდებოდა დაშვების წინაპირობად სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები;
- გადახედილი უნდა ყოფილიყო სილაბუსები, რათა ყველა მათგანში ყოფილიყო მითითებული თუ რომელი სავალდებულო ლიტერატურიდან უნდამომხდარიყო კვირების მიხედვით გაწერილი კონკრეტული თემის შესწავლა;
- გადახედილი უნდა ყოფილიყო სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსთან;
- სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მითითებოდა სასწავლო კურსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიც ასახული იქნებოდა თანამედროვე კვლევები და ტენდენციები;
- მეტი ყურადღებით უნდა ყოფილიყო შერჩეული საბაკალავრო ნაშრომის თემები, რათა ისინი შესაბამისობაში ყოფილიყვნენ პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის დროს სტუდენტთა მიერ კვლევების ჩატარებას და რელევანტური ლიტერატურის გამოყენებას;
- აკადემიურ პერსონალს უნდა გამოყენებინა სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები, მათი სეფასების კრიტერიუმები უნდა ყოფილიყო ნათელი და გაწერილი სილაბუსებში;
- აუცილებელი იყო სტუდენტებისათვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- აუცილებელი იყო შექმნილიყო მექანიზმი რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებდნენ დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას;
- უსდ-ს შესაბამის სამსახურს საფუძვლიანად უნდა გადაეხედა და გადაემოწმებინა პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციების შესაბამისობა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მოთხოვნებთან მიმართებაში;

- დაწესებულებას უნდა დაეწყო კადრების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების შესწავლა და ამ მიზნით გამოყო შესაბამისი და ადეკვატური ფინანსური სახსრები;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციას უნდა ეზრუნა აუდიტორიების და სასწავლო სივრცის სათანადოდ აღჭურვაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან;
- აუცილებელი იყო პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება/სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები გახლდათ მოცულობითი, შინაარსიანი და არ იყო მოკლებული საფუძველს. რეკომენდაციების უმეტესობა უკვე გათვალისწინებული იქნა, დაზუსტებული იქნა სილაბუსები, შერჩეული იქნა ლიტერატურა, რეკომენდაციებში აღნიშნული საგნებისთვის ამოღებული იქნა რეკომენდაციები. საორიენტაციოდ მას წამორებული ჰქონდა ამობეჭდილი სილაბუსები და პროგრამა. რეკომენდაციების გარკვეული ნაწილის გათვალისწინებაზე დაწესებულებაში მიმდინარეობდა მსჯელობა. რაც შეეხებოდა ინგლისური ენის სავალდებულო სწავლებას, წარმომადგენელი თვლიდა რომ არ უნდა შეეზღუდათ სტუდენტი ვინაიდან მას შესაძლებელი იყო სკოლაში ნასწავლი ჰქონოდა სხვა უცხო ენა და ეროვნულ გამოცდაზეც ჩაბარებული ჰქონდა მაგალითისათვის ფრანგული ან გერმანული. შესაბამისად ასეთ შემთხვევაში ვერ დაავალდებულებდნენ სტუდენტს ესწავლა მხოლოდ ინგლისური ენა. რაც შეეხებოდა აკადემიურ წერას, წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსის სახით. ვინაიდან სტუდენტები აბარებდა ქართულ ენას მისაღებ გამოცდაზე მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული აკადემიური წერის სავალდებულო საგნად გათვალისწინება. სტუდენტები თითქმის ყველა საგანში აკეთებდნენ მოხსენებებს, შესაბამისად თავიდანვე ეჩვეოდნენ წერის კულტურას, მანერებს და იძენდნენ აკადემიური წერის ჩვევებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ უნივერსიტეტში შემუშავებული იყო სილაბუსების ერთიანი ფორმა. სილაბუსებში თემატიკა გაწერილი იყო კვირები მიხედვით თუმცა არ იყო მითითებული რიცხვი. რაც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომების თემატიკას, საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებდა მე-4 დამამთავრებელ კურსზე. ნაშრომის შერჩევისას სტუდენტს ფაკულტეტი აცნობდა ასამდე ტიპიურ თემატიკას, რომელიც ყოველწლიურად ექვემდებარებოდა განახლებას. თემატიკაში არ ხდებოდა გამეორება, მითითებული იყო, რომ სტუდენტს შეეძლო ტვითონ შეერჩია თემა რომელიც მის ინტერესებს აკმაყოფილებდა, თუმცა შერჩეული თემა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ტრანსპორტის ან სამეწარმეო ბიზნესის საკითხებთან. რაც შეეხებოდა კონფერენციებში მონაწილეობას, მათ უნივერსიტეტში ყოველი წლის გაზაფხულზე იმართებოდა სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტების დაახლოებით 30%.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დეპარტამენტი წარმოადგენდა პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურას. პროგრამის შემუშავემადე იქმნებოდა ჯგუფი, ნაწილდებოდა ფუნქცია-მოვალეობები, თავდაპირველად მუშაობა ხორციელდებოდა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ, შემდგომ გამოიკვეთებოდა ლიდერი. დეპარტამენტის ხელმძღვანელი დეპარტამენტის სხდომაზე განიხილავდა შესაძლო პროგრამის ხელმძღვანელების კანდიდატურას და წარადგენდა ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი არჩეულები იყვნენ კონკურსის წესით და მათი კომპეტენციის ეჭვის ქვეშ დაყენება იდგა მათი ძალების მიღმა. საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურაზე ირებდა აკადემიური საბჭო. აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელს ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოცემული ჰქონდა ოცზე მეტი წიგნი, მონოგრაფიები და 30 ზე მეტი ნაშრომი. რაც შეეხებოდა ექსპერტის მოსაზრებას იმის თაობაზე რომ მისარებ გამოცდაზე ჩაბარებული ყოფილიყო მთოლოდ გამოცდა წარმომადგენლის მოსაზრებით არ იყო უკიდურესად აუცილებელი, ვინაიდან მათ სტუდენტებს მათემატიკა დასჭირდებოდათ უფრო მეტად შემდგომ საფეხურებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სპორტის, კულტურული ღონისძიებების და კარიერული განვითარების ცენტრი. შემდგომ დეპარტამენტს გადაერქვა სახელი და ამოღებული იქნა სიტყვა „კარიერა“ თუმცა დეპარტამენტის ფუნქციები დარჩა იგივე. კარიერული განვითარების თვალსაზრისით ფაკულტეტს ჰქონდა ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს სტუდენტებს როგორც პრაქტიკის გავლაში ასევე დასაქმებაში. მათ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე მათი კურსდამათვარებულები მირითადად დასაქმებულები იყვნენ სპეციალობით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის მოწვეულ სპეციალიტის, გიორგი თურქიას.

გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა რომ დაწესებულების წარმომადგენელი ხაზს უსვამდა მათი სფეროს სპეციფიკას, მთავარი ყურადღება მინც ექცეოდა თუ რა კვალიფიკაციას ანიჭებდა პროგრამა. აღსანიშნავი იყო რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი. მისი მოსაზრებით დამსაქმებლები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ნიშნების ფურცლით და გავლილი საგნების ჩამონათვალით, შესაბამისად კვალიფიკირდან გამომდინარე სტუდენტს სრული უფლება ჰქონდა დასაქმებულიყო ბიზნესის განხრით ნებისმიერ სფეროში. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებას ჰქონდა ორი განსხვავებული პროგრამა ერთი და იმავე კვალიფიკაციით. მისი მოსაზრებით ფაკულტეტს უნდა მოეხდინა საგნების მენეჯმენტი ვინაიდან ორივე პროგრამაში მათი შინაარსი განსხვავდებოდა ერთამენთისაგან. გასაგები იყო აკადემიური თავისუფლების პრინციპი თუმცა ერთი და იგივე უნივერსიტეტის ფარგლებში არ შეიძლებოდა ერთი და იგივე საგანი შესწავლილი ყოფილიყო განსხვავებული შინაარსით. აუცილებელი იყო ცენტრალიზაცია და ერთი ქუდის ქვეშ სწავლება იმისათვის რომ ყოფილიყო ერთნაირი ხარისხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა მოწვეული ექსპერტის პოზიციას, თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ მათი საგნები ორიენტირებული იყო დარგობრივ



სპეციალიზაციაზე და შესაძლოა აღნიშნული ფაქტორიც იწვევდა შინაარსობრივ ხარისხობრივ განსხვავებას ანალოგიურ საგნებთან შედარებისას. აქცენტი კეთდებოდა ლოგისტიკაზე და სამეწარმეო დარგების მიმართულებებზე.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდამე დაინტერესდა მისაღებ გამოცდებზე დაწესებულები ბარიერით ქართული ენისათვის ვინაიდან აკადემიურ წერასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის მიერ აღინიშნა, რომ ჩაბარებული ქართული ენის გამოცდა საკმარისი იყო იმისათვის რომ სტუდენტს ჰქონოდა აკადემიური წერის უნარ-ჩვევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტს უნდა გადაელახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ქართულ ენაში. აკადემიურ წერის უნარებს სტუდენტი ეჩვერდა პირველი კურსიდან საშინაო დავალებების და საკურსო ნაშრომებზე მუშაობის დროს. აღსანიშნავი იყო რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით ფაკულტეტი მსჯელობდა სამომავლოდ აკადემიური წერის სავალდებულო საგნების ნუსხაში წარმოდგენისათვის.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაიშვილი დაინტერესდა ექსპერტების მიერ გადახედილი იქნა თუ არა საბაკალავრო ნაშრომები და როგორი იყო მათი შესრულების დონე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი რეკომენდაცია გამომდინარეობდა სწორად იქიდან რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გადახედილი საბაკალავრო ნაშრომები არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ ფაკულტეტზე გაიწერა და დამტკიცებული იქნა საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი, რომელიც აუცილებლად გაეცნობოდათ სტუდენტებსაც.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაიშვილი დაინტერესდა მექანიზმით რომლის მეშვეობითაც სტუდენტები ჩართულები იყვნენ პროგრამის განვითარებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც ხორციელდებოდა პროგრამის მოდიფიკაცია, შედგა ერთობლივი სხდომები პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ხარისხის სამსახურის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით. ოქმით დაფიქსირებული იქნა თითოეული დაინტერესებული მხარის მოსაზრება, მოხდა მიღებული მონაცემების ანალიზი და შეძლებისდაგვარად გათვალისწინება.

19:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 19:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოს ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრების, მათ შორის მოწვეული წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები. შესაბამისად, ვინაიდან

ექსპერტთა დასკვნის თანახმად, პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, პროგრამას აკრედიტაციის დებულების მიხედვით შესაძლოა მინიჭებოდა პირობითი აკრედიტაცია. ამასთან, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში მიზანშეწონილი იყო შესულიყო 2018 წლის 31 დეკემბრიდან, ვინაიდან პროგრამას სწორედ 31 დეკემბერს ამოეწურა აკრედიტაციის ვადა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ინტერესებისა და პროგრამების სტატუსის უწყვეტობის მიზნით, საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>2</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 19:20 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
გიორგი ამილახვარი

მდივანი  
ლევან გორდეზიანი